

პირველი რესპუბლიკური სასკოლო ჰაკათონი

პროექტის მიზანია: საქართველოში პირველი სასკოლო რესპუბლიკური ჰაკათონის ჩატარება, რომელიც გააერთიანებს საქართველოს სხვადასხვა საჯარო სკოლის მოსწავლეებს, რომლებსაც შეუძლიათ სხვადასხვა პროგრამული, დეველოპერული, დიზაინური და საინჟინრო სამუშაოების შესრულება. აღნიშნული სამუშაოების შესრულებაში მათ მხარს დაუჭერს ქალაქ ქუთაისის აკ. წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჩამოყალიბებული სისტემების ფაკულტეტის სტუდენტები. სტუდენტები მოსწავლეებს გაუწევენ ფასილიტაციას და გამარჯვებულ გუნდს მისცემენ შესაძლებლობას აკ. წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტის მხარდაჭერით FABLAB-ში არსებული ტექნიკის მეშვეობით მოახდინონ იდეის მატერიალიზაცია - პროდუქტის შექმნა.

სასკოლო ჰაკათონის მიზანია: მე-7, მე-8 და მე-9 კლასის მოსწავლეთა საინფორმაციო ტექნოლოგიების უნარ-ჩვევების ცოდნის ესგ-ის ისტ-ს სტანდარტის შესაბამისად და გამოყენების ხარისხის გამოვლენა და მათი განვითარება, მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლება და საუკეთესო გუნდის გამოვლენა.

სავარაუდო შედეგები: ჰაკათონში მონაწილეობას მიიღებენ საკომუნიკაციო ტექნოლოგიების უნარ-ჩვევებისა და განსაკუთრებული იდეების მქონე საბაზო საფეხურის მოსწავლეები. მოხდება მათი მოტივაციის ამაღლება, ისინი შეძლებენ თავიანთი იდეების რეალიზებას. აკ. წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიური დეპარტამენტის ჩამოყალიბებული სისტემების დოქტორანტები მოსწავლეებს ჩაუტარებენ მასტერკლასს ჰაკათონში და აღნიშნულ მასტერკლასში მონაწილეობას მიიღებს და გამარჯვებულს დაუწესებს თავისი სახელობის სტიპენდიას სასწავლო წლის დასასრულამდე აშშ მისურის კოლუმბიის უნივერსიტეტის დოქტორი ალექსანდრე ლობჟანიძე.

პრობლემა

როგორც ცნობილია ისტ-ს სწავლება მიმდინარეობს მხოლოდ 5-6 კლასებში, თუმცა კომპიუტერული და პროგრამული ტექნოლოგიებით დაინტერესებული მოსწავლეების რაოდენობა საკმაოდ დიდია. უმეტეს შემთხვევაში ისინი ტექნოლოგიების სფეროში მიმართავენ თვითგანათლებას. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ ასაკის მოსწავლეთათვის ამ სფეროში არ ტარდება ოლიმპიადები და კონკურსები. შესაბამისად მოსწავლეები ვერ ახერხებენ თავიანთი იდეების რეალიზებას. პრობლემის გადაჭრა შესაძლებელია პირველი სასკოლო რესპუბლიკური ჰაკათონის ჩატარებით.

სასკოლო ჰაკათონი - არის მართონი, სადაც სხვადასხვა სკოლის მოსწავლეებიდან შექმნილი გუნდები მუშაობენ ახალ იდეებზე, ტექნოლოგიებზე და ეჯიბრებიან ერთმანეთს.

სასკოლო ჰაკათონი მოიცავს სამ ეტაპს:

I ეტაპი

მიმდინარეობს ონლაინ რეჟიმში 2016 წლის 29 თებერვლიდან 2016 წლის 14 მარტის ჩათვლით, რომელშიც მონაწილეობის მსურველს მოეთხოვება:

1. კომპიუტერული უნარების ფლობა
2. წინასწარ მოცემული დავალების შესრულება - hakaton.17school.ge

I ტურში გამარჯვებულთა სია გამოქვეყნდება ჰაკათონის ოფიციალურ ვებ-გვერდზე - hakaton.17school.ge.

II ეტაპი

გაიმართება 2016 წლის 20 მარტს სსიპ ქალაქ ქუთაისის №17 საჯარო სკოლის სააქტო დარბაზში.

1. პირველი სასკოლო ჰაკათონის საზეიმო გახსნა
2. პროექტის პრეზენტაცია
3. მასტერ კლასი ჰაკათონში, რომელსაც წარუძღვებიან: ალექსანდრე ლობჯანიძე
4. ფასილიტატორი სტუდენტების წარდგენა
5. ფასილიტატორების მიერ ჰარდსა და სოფტზე ამოცანების წარდგენა
6. გუნდების დიფერენცირება და შექმნა ინტერესების მიხედვით

III ეტაპი

გაიმართება 2016 წლის 27 მარტს სსიპ ქალაქ ქუთაისის №17 საჯარო სკოლის სააქტო დარბაზში.

1. გუნდების რეგისტრაცია, მონაწილეთა სამუშაო სივრცეში განაწილება
2. იდეების მატერიალიზაცია - პროექტებზე მუშაობა
3. საექსპერტო ჟიურის მონიტორინგი სამუშაო პროცესზე
4. დასრულებული პროდუქტის პრეზენტაცია (5 წუთი)
5. გამარჯვებული გუნდის გამოვლენა ჟიურის მიერ
6. დაჯილდოვების ცერემონია